ასოციაცია
„ჰერა -XXI“
ჯანმრთელობა • განათლება • უფლებები • ალტერნატივა

ჰერა HERA XXI

ASSOCIATION
“HERA-XXI”
HEALTH • EDUCATION • RIGHTS • ALTERNATIVE

№ 42 02. 07. 2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა

შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს,

თამარ გაბუნიას

ქ-ნო თამარ,

მოგმართავთ საქართველოს არასამთავრობო საგანმანათლებლო ასოციაცია „ჰერა XXI“, რომელიც 1998 წლიდან უზრუნველყოფს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ინფორმაციასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ორგანიზაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - ჯანდაცვის სისტემების, სერვისების ხარისხისა და ადამიანური რესურსების განვითარების მხარდაჭერით.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სფეციფიკურობის გათვალისწინებით,ვთვლით რომ პირველ რიგში აუცილებელია ჯანმრთელობის ხელშეწყობის,უწყვეტი ზრუნვის, დაავადების პრევენციისაკენ მიმართული მიდგომა და ყოვლისმომცველობა, რომელიც პირველადი ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია და მიმართულებაა.

იმისათის, რომ გაიზარდოს, როგორც გეოგრაფიული ასევე ფინანსური ხელმისაწვდომობა, ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების/სერვისების პირველადი ჯანდაცვის რგოლის პრაქტიკაში ინტეგრირებაზე. სამი წლის განმავლობაში არაერთი აქტივობა განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა პირველადი ჯანდაცვის რგოლში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობას, და ამ დონეზე არსებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების არსებობის/ხელმისაწვდომობის შესწავლასა და შეფასებას.

ვთვლით, რომ ორგანიზაცის სტრატეგიული მიმართულება ხელს უწყობს ქვეყანაში მოქმედი არაერთი ჯანდაცვის პოლიტიკით,სტრატეგიული დოკუმენტებითა თუ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ მთავარი მიმართულების შესრულებას - „პირველადი ჯანდაცვის რგოლის უპირატეს განითარებას“.

მოგახსენებთ,რომ 2019 წელს, ასოციაცია მიზნად ისახავს ჯანდაცვის სფეროში კომპეტენტური და დარგის სპეციალისტების გაერთიანებას პირველადი ჯანდაცვის რგოლში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირების სტრატეგიების და მოდელის შემუშავების უზრუნველსაყოფად.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით სამინისტროს ჩართულობა ხელს შეუწყობს არსებული რესურსების სწორ, მიზანმიმართულ გაერთიანებას და მიმდინარე პროცესის ეფექტურ/ ქმედით წარმართვას სისტემური ცვლილებებისთვის.

მოგმართავთ თხოვნით, აღნიშნულ საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის შესაძლებლობების განხილვის მიზნით, დაგვინიშნოთ შეხვედრა.

პატივისცემით,

ნინო წულეისკირი

წულეისკირი

საქართველო, თბილისი 0160, გამსახურდიას გამზ., II კვარტალი, IX კორპუსი, ბინა#2; ტელ.: 2142851; ელ-ფოსტა: n.tsuleiskiri@heraxxi.ge